სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 დღ „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

ქარხანა იღებს შეკვეთებს და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტოლრის, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყოველნაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა

ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—48)

## შპალერების საწყობი
## ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
## I. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 68)

დაიბეჭდა და ისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგად. წიგნის მაღაზიაში ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) ამოდის, ნათლებაა! და სხვა მოთხრობები, ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კ.

2) კრილოვის არაკები, თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კ. (10—9)

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც

ცხოვრება ღირსისა
## ალექსის ღვთის კაცისა
(სურათით)

მეორედ გამოცემული მორჩილის რ. ბარამიძის მიერ

ფასი ერთი შაური (10—6)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
## БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტია საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

* * * ქართველთა ეკკლესიის კურთხევა კავკავში. ხვალ, კვირას, 1 ნოემბერს, კავკავში აკურთხებენ ქართველების ეკკლესიას, რომელიც აშენებულია კავკავის ქართველობისაგან „ქართველთა შორის წერა-კითხ. გამავრცელებელ" სკოლასთან. ეკკლესია აშენებულია წმ. ნინას სახელზე. კურთხევაზე, როგორც ისმის დიდ-ძალი ხალხი დაესწრება და ამ დღისათვის ბევრნი დეპეშებით უპირებენ მილოცვას.

* * * ქ. ახალციხის არჩევნები რადგან ახალციხის აწინდელ საბჭოს ვადა გაუვიდა, გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მამასახლისის თანამდ. აღმასრულებელს ბ. მოსესოვს: შეადგინეთ იმ სახლის პატრონთა სიები, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ახალი საბჭოს არჩევაში ოთხი წლის ვადით 1898—1902 წწ. და ეს სიები საყოველთაოდ განაცხადეთ არა უგვიანეს ამა წლის ნოემბრის 14-მდეო; ამასთან წინ და წინვე აცნობეთ ამომრჩეველებს, რომ საარჩევანო სიების კანონიერობაზე საჩივრების და წინააღმდეგობის განსაცხადებლად მათ ეძლევათ ორი კვირის ვადა, 15 ნოემბრიდანაო.

* * * ბრძოლა ყაჩაღობასთან. როგორც ისმის, განზრახვა აქვთ შეიმუშაონ საგანგებო წესები იმ მიზნით, რომ შეუძლებელი შეიქმნეს ამიერ-კავკასიაში ყაჩაღების დამალვა.

* * * ტარიფის მომატება. ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ დეპეშა მიიღო, რომ გუშინ, 30 ოქტომბერს, ფინანსთა სამინისტროს, სხდომა ექნებოდა იმ კითხვის შესახებ, რომ მომატებულ იქნეს ტარიფი ბათომიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზით გაზიდულ ნავთსა და ზეთზე.

* * * ქურდობა. ამ დღეებში, ყოროლანოვის ქუჩაზედ გაქურდა ღენერალი ბ. ბუქყიაშვილი მისმავე მოსამსახურემ პლატონ მასხულიამ, რომელსაც წაუღია ძვირფასი ძველებური ოქრო-ვერცხლის ნივთეულობა, ღირებული 2,000 მანეთისა. ქუდი და ბილეთი ქურდს ბინაზედ დაუტოვებია და თვითონ კი დამალულა. ქურდი, როგორც ამბობენ ვილაც სომეხი ყოფილა. იგი ჯერ-ჯერობით ვერ უპოვიათ.

* * * ცრუ ექიმის ალავერდოვის ოინები ინგლისში. გაზ. „ტფ. ფურცელს" შემდეგი ცნობები მიუღია ტფილისის მცხოვრების ცნობილ მიხეილ ალავერდოვის შესახებ, რომელიც რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში და ერთ დროს ჩვენშიაც ლოთობას წამლობდა. მას შემდეგ, როცა პეტერბურგში, ქა-

ლაქის უფროსის მეცადინეობით, დამტკიცდა, რომ ალავერდოვის ექიმობა შარლატნობაა, ეს ვაჟბატონი გამგზავრებულა ლონდონს. აქ ის, ცხოვრების სახსარს მოკლებული, დაბინავებულა ერთს სასტუმროში, გამოუცხადებია თავისი ექიმობა, დაუწყია ახალ სამსხვერპლოების ძებნა. სწორეთ იმავე სასტუმროში, სადაც ალავერდოვი დადგა, ცხოვრობდა თურმე ერთი ლოთი დედა-კაცი, რომლისთვისაც მას დაუწყია ექიმობა თავისი ბაყაყების საშუალებით. ამ ქალს რამდენიმე დღის განმავლობაში წამლის მიღების შემდეგ სმისათვის თავი დაუნებებია. ეს ამბავი ლონდონის გაზეთებმა თურმე მთელ ქალაქს მოჰფინეს და ალავერდოვს მრავალმა ლოთმა მიჰმართა. სხვათა შორის, მისი წამლით უსარგებლნია სასახლის მეაფთექის ცოლს, რომელიც აგრეთვე „განკურნებულა“. ამ წუთიდგან „კავკასიელ ექიმის“ სახელი განმტკიცებულა და ალავერდოვს წაუყვანია ერთი ებრაელი და უშოვია ინგლისის მთავრობისაგან პატენტი, რომლითაც მას უფლება მიეცა, რომ მის მიერ გამოგონებულ წამლით ლოთების ექიმობა მხოლოდ მას შესძლებოდა, და გადასულა ახალ ბინაზე, სადაც მას ამ ჟამად აუარებელი ხალხი თურმე ეხვევა ლოთობიდან განსაკურნებლად.

ალავერდოვი ჰბეჭდავს უშველებელ ფიცრებზე დიდ-დიდ რეკლამებს თვისი პორტრეტებით, რომლებშიაც ის ჩერქეზულად არის ჩაცმული სხვა და სხვა ორდენებით მკერდზე; ხელში უჭერია აუარებელი მოწმობები, რომლებიც მისთვის თითქო რუსეთში მიუცია მრავალ დიდ კაცს; სხვათა შორის მოხსენებულია რამოდენიმე გამოჩენილი მოღვაწე, რომელნიც სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში არიან, ამ რეკლამების წყალობით ალავერდოვს დიდი შემოსავალი ჰქონია.

*** წყლის მიღების საქმე. ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, ზომები მიიღეთ ქალაქის წყლის ბაღების გაფუჭებულ კრანების გასასწორებლადაო. ამასთან წინადადება მიეცა პოლიცმეისტერს, ყოველი ცეცხლის გაჩენის შემთხვევა დაუყონებლივ აცნობეთ წყლის მიღების სახელოსნოს. რომ მან დროით გაუშვას წყალი იმ ქუჩაზე სადაც ცეცხლიაო.

*** ივ. მეფასაშვილის მოკვლის საქმე. 14 ნოემბერს ახალციხეში ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესია, რომელიც სხვათა შორის, განიხილავს ცნობილ საქმეს ადგილობრივი მამულის ივ. მეფისაშვილის მოკვლის შესახებ. ამ საქმის თაობაზედ მოწვეულია ბრალდებულად 7 კაცი.

*** **ახალ-სენაკი.** უწეს-რიგობა. ნათქვამია ქართული ანდაზა: „სოფელი ვენახე უძაღლო, შიგ გაიარე უსახრო“ სწორედ ასე უდიერად იქცევიან, ზოგიერთი აქაური მეპურეები და მეყასბებიც. მაგრამ პატრონი და ყურის მგდებელი აბა ვინ არის? რისთვის მიაქცევს ყურადღებას ის, ვისიც მოვალეობაა ეს საქმე, მაშინ, როდესაც იმათ დაკლებულ ფასად ეთმობა სურსათსანოვაგე? მაგალითად, გირვანქა ხორცს ჰყიდიან მეყასბეები მცხოვრებლებზე და მოვაჭრეებზედ 8 კაპ. ხოლო მოხელეებს ეძლევათ პირველი ხარისხის ხორცი 7 კაპ. გირვანქა. არის ისეთი მოვაჭრე, რომელსაც ფუთობით სჭირდება ხორცი, მაგრამ რვა-რვა კაპეიკს ახდევინებენ. ნუ თუ ამაზე მეტი თავ-ხედური საქციელი კიდევ შეიძლება მეყასბისაგან? სწორედ დიდად სასურველია, რომ ერთნაირი ნიხრი დაწესდეს „ჩინიანზედ და უჩინოზედ“, თორემ იქნება ბოლოს დიდი დრტვინვა გამოიწვიოს ამ გარემოებამ...

მეპურეზე ის გვეთქმის, რომ თუმცალა მათ ნიხრი აქეთ დაწესებული, მაგრამ ზოგიერთნი ამ ნიხრს სრულიად არ ხელმძღვანელობენ, ასე ამ გვარად, გვყვლეფავენ მეპურეები და მეყასბებიც, მაგრამ არც ადგილობრივი პოლიცია აქცევს ყურადღებას ამას და არც დაბის დედა-ბოძნი დეპუტატები. ნუთუ აქაური დეპუტატნი ქალაქს ამაში მაინც არც გამოადგება, მაშ რა. პარლამენტის წევრები ბრძანდებიან?.. სასურველია ამას ყურადღება მიექცეს...

ჯოჯოხეთის მაშხალა.

*** **სოხუმი.** მიხ. თოფურიძის დაჭრა და გაძარცვა. ღვინობისთვის 25, ღამის 2 საათზე, სოხუმში მომხდარი შემაძრწუნებელი ამბავი აშკარად ამტკიცებს ყოვლად უმწეო მდგომარეობას აქაურის მცხოვრებლებისას, ხსენებულ რიცხვს 10 უცნობი ბოროტ-მოქმედნი დაესხნენ თ. გიორგი შერვაშიძის მოურავს ბ-ნ მიხეილ თოფურიძის სახლს. თვითონ თოფურიძე ის იყო მოვიდა სახლში და დასაწოლად ემზადებოდა, „ისე თავს დაესხნენ ათამდე შეიარაღებული კაცი, ერთ მათგანს მიხ. თოფურიძე შეებრძოლა და კიდეც შემოითრია თავის ოთახში, ისე მეორე ამხანაგმა სატევარი თავში დასცა თოფურიძეს და იქვე გააგორა. ამასობაში დასჭრეს მისი მოსამსახურე ბიჭიცა და დაიწყეს თარეშობა ოთახში. კასა, სადაც თოფურიძე ფულს ინახავდა, დაკეტილი დახვდათ. მოსთხოვეს თოფურიძეს, გაგვიღეო, იმან უთხრა, მე ხომ მხედავთ ადგომა არ შემიძლია. და აი გასაღები, გააღეთ და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ რაც შიგ არისო. ყაჩაღებმა კასა ვერ გააღეს და გასაღები შიგ იმდენი აცოდვილეს, სანამ შიგ არ ჩაუტყდათ. რაკი კასას ვერა მოუხერხეს, დაიწყეს ფათური და თვითონ თოფურიძეს ამოაცალეს 800 თუმანი. ამას არ დასჯერდნენ, ააცალეს: ოქროს საათი, ვერცხლის ქამარი, სატევარი, რევოლვერი და სხვა ნივთები, რამოდენისამე ასი მანეთის ღირებული. ჩაალაგეს ყველაფერი ჩამოდანში და არხეინად გაუდგნენ გზასა. ძე-ხორციელს არავის შეუტყვია არც მათი მოსვლა და არც წასვლა. მერე იმ სახლს, სადაც თოფურიძე იდგა, ოთხის მხრით ჩაუდის გზა. ღამის დარაჯი ქალაქის შუაგულშიაც არა დგას და, რა თქმა უნდა, აქაც არ იდგა. მეორე დღეს დილით პოლიციაც მოვიდა და, როგორც მიღებულია, ოქმი შეადგინა. იმავ დღეს ქუთაისში დეპეშა დაუკრეს დაშავებულის ძმას ექიმს სამსონ თოფურიას, რომელსაც ამ დღეებში მოელიან.

აქ ამ ჟამად ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესია, სხვათა შორის, სამურზაყანოს მცხოვრების კედუცა მახარიას მოკვლის საქმეს არჩევს. ბრალდებულთა რიცხვში ერთი მღვდელიც ურევია, გვარად ქ. ამ საქმის გამო 66 კაცი მოწმეა მოწვეული.

გ. ბარკალაია

*** **სვანეთი.** სკოლების გახსნა. ამ ბოლო დროს სვანეთსაც ეღირსა განათლების სხივი. დღემდის სვანეთი უმაღლესი მთავრობისაგან სწავლა-განათლების შესახებ თუმცა დავიწყებული არ იყო, მაგრამ ნამდვილ ყურადღებას კი მოკლებული იყო. ეხლა, როგორც გაზეთებში იყო მოხსენებული, მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების, ბ. ინსპექტორის მამინაშვილის შუამდგომლობა სვანეთის შესახებ შეიწყნარა მისს ყოვლად-უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ და კეთილ ინება, გარდა არსებულის სკოლებისა, გახსნილ იქმნას ოთხი სკოლა შემდეგ სოფლებში: ბეჯოში, ცხმარში, ფარში და ლახამულაში. უკანასკნელ სამ სკოლებს უკვე მოუდით მასწავლებლები და სწავლაც ადრე დაიწყება.

სწორედ სასიხარულოა ეს გარემოება მით უფრო, რომ თითონ სვანებიც ძრიელ მონდომებულნი არიან სწავლა განათლებას. ამათ სიხარულს საზღვარი არა აქვს. მეტად აღტაცებულია ყველა, უბრალოდან კეთილ-შობილამდე. სასიამოვნოა ის გარემოებაც, რომ მებატონეები და ადმინისტრაციაც ხელს უწყობს სკოლების საქმეს, რაც კი შეიძლება. ღვთის მადლით მასწავლებლებიც კარგები მოუვიდათ სვანეთის სკოლებს. თითქმის ყველა სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებულნი არიან და რაც შეიძლება, ნამდვილი სამოსწავლო იარაღით აღჭურვილნი, გარდა ამისა, სულით და გულით მონდომებულნი არიან და იმედია, ეს პატივცემული მასწავლებელნი გაჭირვებას არ შეუშინდებიან და ერთხელ ხელ-მოკიდებულ საქმეს რიგიანად წაიყვანენ. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ აქაურ სკოლებში შრომა არა გავს ჩვენ სკოლებში შრომას: აქ ბავშვმა არ იცის ქართული, მასწავლებელმა—სვანური, ამიტომ პირველ წელიწადს ჯეროვანი ნაყოფის გამოღება შეუძლებელია, მაგრამ ერთი იმედია, სვანი ქართულს ძრიელ ადრე ისწავლის.

— **უკან ჩამორჩენა.** ეხლა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ საზოგადო სურვილს და აღტაცებას უკან ჩამორჩენია ერთი სოფელი, სახელდობრ ფარი, რომელსაც მასწავლებელი თითქმის ერთი თვეა მოუვიდა, მაგრამ სწავლა კი ვერ დაწყებულა დღემდის. კეთილს რომ ავი არ ეხლოს იშვიათია, საკვირველი კია, რადგან ამავე სოფელში სცხოვრობს მამა დეკანოზი, რომელს ხალხი ვითარცა მოძღვარს უნდა უჯერებდეს. საბრალო მასწავლებელი იძულებული გახდა ბოქაულისათვის მიემართა და ვნახოთ რას უშველის პოლიცია იმ ხალხს, რომელიც ამბობს, სწავლა რად გვინდა, ბავშვები მწყემსად გვჭირდებაო.

გარდა ამისა, აქაური სკოლები რომ მართლა ნაყოფიერი იყოს და უბრალოდ არ დაიკარგოს ორი სამი წლის შრომა და ხარჯი, საჭიროა ერთი რამე კურსის დამამთავრებელი სასწავლებელი იქმნას გახსნილი, უიმისოდ ორი სამი წლის შემდეგ ბავშვი ისევ ცხვარს და თხას უნდა გაჰყვეს უკან. მართალია ამ მდგომარეობაში ყველა არ დარჩება და როგორც დღემდე თითო-ოროლა გააგრძელებს სწავლას, მაგრამ მომეტებული კი იძულებული იქნება მამა-პაპის შრომის იარაღს მოჰკიდოს ხელი. თუ ბ. ინსპექტორი მოინდომებს და იშრომებს, როგორც დღემდის, იმედია სვანეთი ოთხკლასიან სასწავლებელსაც ეღირსება, და ეს იქნება სწორეთ უდიდესი ნაბიჯი სვანეთში სწავლა-განათლების გაძლიერებისა. მაშინ იმედია სვანეთიც დაწინაურდება მალე.

— **კეთილი განკარგულება.** მეო-

რე სასიამოვნო საქმე სვანეთისთვის ის გახლავთ, რომ ბ. ქუთაისის გუბერნატორის გადაწყვეტილების თანახმად, სვანეთის ექიმმაც მუდამ სვანეთში უნდა იცხოვროს და არა ქუთაისში, როგორც დღემდის იყო.

გასაკვირველი იყო სწორეთ, ჯამაგირს სვანეთში მსახურობისას იღებდა, თვითონ ექიმი ვინ იცის სად შრომობდა. სვანეთში მხოლოდ ზაფხულობით მოდიოდა საორ-თვეოდ, ვითომ და სამსახურს ვასრულებო. ამისთანა ბედს არა ვიცი, რომ ყველა ექიმი ეღირსოს. ზაფხულობით აქ სამსახურის მოვალე კი არა, ისეც ბევრი წამოვა, ისეთი კარგი ჰაერი და სამაგალითო მჟავე წყლებია.

*** **გუდაუთი** (აფხაზეთი). მოუღოდნელი სენი. ამა წლის ენკენისთვის დასაწყისში აქ ჩამოვიდნენ რაჭიდან მუშები. ერთ კვირასაც არ გაუვლია მათის ჩამოსვლის შემდეგ, რომ ერთს მუშათაგანს ნ. კ—ძეს გამოაჩნდა ყვავილი, მაგრამ რადგანაც ვერ მიხვდნენ, რომ ყვავილი იყო, ამიტომ დაუწყეს სხვადასხვა წამლებით კურნება; საბრალო ავადმყოფი მთლად ერთიანად გაშავდა და მეორე დღეს სამუდამოდ გამოესალმა წუთი-სოფელს. ნათესავებმა მიჰმართეს პოლიციას და სთხოვეს სამშობლოში წაღების ნება მიეცა, მაგრამ პოლიციამ უარი უთხრა. მიცვალებულის გვამი მიაბარეს მიწას თუ არა, მეორე დღეს ორი მუშა რაჭველი ავად გახდა და ამათაც ის სენი გამოაჩნდა. ეხლა თუმცა სიფრთხილით ეპყრობიან ავადმყოფებს, მაგრამ მაინც საშიშოა, რადგანაც მუშებს შიგ შუაგულ ქალაქში აქვთ ბინა და ავადმყოფებიც იმათთან არიან, ხალხი ხშირად ტრიალებს ახლო სნეულების ბინასთან. ამის გარდა იმავე ბინასთან წყლის მილია გამოყვანილი. ამიტომ უცილობლად საჭიროა ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა პოლიციამ და ავადმყოფებს სადმე ქალაქის განაპირზე გაუჩინონ ბინა.

ნალარა

*** **ცხინვალი.** უბედური შემთხვევა. 24 ამ თვეს ერთი შემაძრწუნებელი მკვლელობა მოხდა ცხინვალს ახლო. ტბეთიდან მოდენილა დათა ალხაზიშვილი (სომეხია) ცხენით და პური მოჰქონებია. ამ დროს უკანიდან წამოსწევია ტბეთელი ოსი დათა ბეკოშვილი (26 წლისა) და ფულის თხოვნა დაუწყვია; მას ორი კაპიკის მეტი არა ჰქონია. ოსს ამოუღია ხანჯალი და დაუცია მუცელში საცოდავისთვის. გამწარებულს ხანჯალი წაურთმევია, მოუკაკვავს და გადაუგდია, თითონ-კი წელებ გადმოყრეინებული ცხინვალში ჩამოვიდა. ექიმმა ჭრილობა შეუხვია, მაგრამ მეორე დღეს საღამოს გარდაიცვალა, მთელი ცხინვალი სტირის იმისი წვრილ-შვილის საცოდაობით. სულ 38 წლის კაცი იყო, შვიდი შვილის მამა, მერვეც ამ დღეებში მიეცა, ასე რომ 8 შვილის მამა, 6 ქალისა და ორი ვაჟისა. დარჩნენ საცოდავნი დედით ცხრა სული. საბრალო კაცი ნახევარ კოდობითა შოულობდა სოფლით სოფლად ორი-სამი მანეთის ნავთითა და წვრილმანით და ისე გამოჰყავდა ცოლ-შვილი, დღეს-კი დარჩნენ ულუკმა-პურონი და უმწეონი. მკვლელი უკვე შეიპყრეს და გამოძიებაც სწარმოებს. მერე რა, თუ გინდ ჩამოახრჩონ კიდეც, იმითი რა შეემატებათ ცხრა სულს უნუგეშოთ დარჩენილებს. აი ამიტომა სწუხს მთელი ცხინვალი. უფრო სწუხს და სტირის ქვრივი, რომელსაც დიდი გაჭირვება ადგას თავზე, ამიტომ ჰმართებს ცხინვალელებს, რომ ნუგეშის ცრემლი მოსწმინდონ საცოდავ ოჯახობას..

— ამინდი. 27 ამ თვეს, საღამოზე, წამოწვიმა და ზედ ზენაქარმა დაჰბერა და ისეთ ნაირად-კი აცივდა, რომ მეტი არ შეიძლება. დღეს-კი ცოტა თოვლიც მოსდევს მოზუზუნე ქარს. თქვენი მტერი, თუ ასე ქნა, სულს შეუხუთავს მოუმზადებელს ხალხს უდროო სტუმარი.

ს. ბერძნიშვილი

*** **დ. ლანჩხუთი.** ხალხის სიღარიბის მიზეზი. ლანჩხუთი მეტად დაჯილდოვებულია ბუნებისაგან, ასე რომ მისი პირველად მნახველი უთუოდ იფიქრებს, აქაური მცხოვრებნი ყველანი საკმაოდ მდიდრები უნდა იყვნენო, მაგრამ როცა ხალხის ცხოვრებას გაიცნობს, მწარედ მოსტყუვდება. თუმცა ბუნების სიმდიდრესთან ერთად ყველა მცხოვრებნი შრომის მოყვარენი და გამრჯელნი არიან, მაგრამ ნივთიერ შეძლებით მაინც მეტად დაქვეითებულნი და გალატაკებულნი არიან. ამის მიზეზი გახლავთ მათი ერთმანერთის გაუტანლობა, შურის-ძიება და მასთან საყოველთაო უმეცრება. ის ადგილი, მაგალითად, რომელიც აქ ერთს მოსახლე გლეხს ეკუთვნის, ვინმე უცხოელის ხელში რომ ყოფილიყო, თავის პატრონს დიდ შემოსავალს მოუტანდა, მაგრამ აქაურმა მცხოვრებმა, გარდა სიმინდის მოყვანისა, არავითარი მეურნეობა არ იცის, ხოლო სიმინდი-კი იმის საფასურსაც არ იძლევა, რა შრომასა და ტანჯვასაც მოითხოვს. ამ სოფელში რაც თვითონ ბუნებას არ აღმოუცენებია, კაცს არავითარი ხეხილის მოვლა-მოშენებისთვის არ მიუყვია ხელი. ზოგან თვალ გადუწვდენელ ეზოებში, გარდა რამოდენიმე ძირი თხმელას ხისა, არაფერი არ მოიპოვება. დრო არის, რომ მცხოვრებლებმა სიმინდის გარდა სხვა სამეურნეო დარგსაც მოჰკიდონ ხელი, თორემ ის დრო, როცა ტყეში ტივებს შეკრავდნენ ხოლმე, გააქანებდნენ ფოთისკენ და თუმნიანებს ჩაიჩხრიალებდნენ ჯიბეში, უკვე გაფრინდა. აქაურს, აზნაურია იგი თუ გლეხი, ათასი ფუთი ხილი რომ მოუვიდეს თავის მამულში, გაყიდვით მაინც ვერ გაჰყიდის, რადგან ეს მას სირცხვილად მიაჩნია და მიუხედავად იმისა, რომ გვერდით რკინის გზა აქვს და ადვილად შეუძლია ყოველნაირი საქონლის ბაზარზე გატანა, მაინც სახლში უნდა დაალპოს ხილი და ღორების ულუფად გახადოს.

— მოსავალი. სიმინდის მოსავალი ჩვენში თანდათან კლებულობს და წელს-კი სულ მიწასთან გაასწორა გამძვინვარებულმა სტიქიონმა. კაი უნდა, რომ ხალხს სარჩოდ ეყოს მოსავალი. მოსავლის ასეთი სიძვირის უმთავრესი მიზეზი გახლავთ რიონი, რომელიც ყოველ წლობით გადმოდის კალაპოტიდან და აოხრებს არა მარტო ლანჩხუთის საყანეებს, არამედ ნიგოითისას, ჩიბათისას, ჯურუყვეთისას და სხვ. ძლიერ კარგს იზამს მთავრობა, რომ გვაიძულებდეს რიონის ნაპირებზე დამბების შეკეთებას.

ლანჩხუთელი ვანო

# სამეცნიერო ცნობა

ციება და მისი შედეგი. ამ უკანასკნელ დროს ციებამ ჩვენს მხარეში ძალიან გაიდგა ფესვი და ბევრიც იმსხვერპლა. მართალია, ექიმები დიდის გულ-მოდგინებით შეებრძოლნენ ამ სენს, მაგრამ მაინც და მაინც ბევრი ვერაფერი გააწყვეს და ციება დღეს საქართველოს ყველა კუთხეში მძვინვარებს. ციებას აქამდის ისე უცქეროდნენ, როგორც ყველა მსუბუქ ავადმყოფობას, მაგრამ როგორც ამ უკანასკნელად მეცნიერებმა გამოიკვლიეს, ეს სნეულება მეტად რთული და მავნებელი ყოფილა ადამიანისთვის. თითქმის იშვიათად მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომ ციება არ ეგემნოს. ადამიანისთვის სრულიად საკმარისია ცოტაოდნად გაცივდეს, სურდო შეჰხვდეს, კუჭი მოეშალოს და სხვ., რომ მაშინვე ციებად გარდაექცეს.

რა არის ციება? ძველ დროიდან დაწყებული ვიდრე ამ უკანასკნელ საუკუნემდე ციებას ყოველგვარ ავადმყოფობას უწოდებდნენ. რომ იტყოდნენ, ამ კაცს „აციებსო“, ეს იმას ნიშნავდა, რომ ის კაცი ავად არისო. მეჩვიდმეტე საუკუნეში საფრანგეთის მეცნიერები ამ ნაირათვე ახასიათებდნენ ციებას. თავის წერილებში ქ-ნი სევინიე, სხვათა შორის, ამბობს: „მე გულის ციება მაქვს“, „მე ხელის ციება მაქვს“ და სხ.

ძველათ გამოჩენილმა მკურნალმა ჰიპპოკრატმა, რომელსაც ჯერ რიგიანად არ ჰქონდა გამოკვლეული ადამიანის მაჯის ცემა, ციებად იმ მდგომარეობას ჰსახავდა, როცა ადამიანის აგებულებაში სიცხე მატულობდა. სიცხის მომატებას ავადმყოფ ადამიანის სხეულში, ჰიპპოკრატი ხელის შეხებით ტყობილობდა. იმის შემდეგ ექიმმა გალიენმა ციება უწოდა არა ჩვეულებრივ სიცხის მომატებას ადამიანის სხეულში, თუმცა ისიც-კი დიდს მნიშვნელობას აძლევდა მაჯის ცემას. ექიმ გალლიენამდე ფიქრობდნენ, ძარღვები მხოლოდ ჰაერით არის გატენილიო. პირველად ექიმმა გალლიენმა სცადა ცხოველებზე და გამოიკვლია, რომ ადამიანის სხეულში ტემპერატურის (სითბო-სიცივის) ამაღლება და ძირს დაწევა დამოკიდებულია მაჯის ცემაზე. ეს კითხვა მეჩვიდმეტე საუკუნეში შეიმუშავეს და საბოლოოდ გამოარკვიეს ექიმის გარვეის მეცადინეობათ, რომელმაც ზედ-მიწევნით გამოიკვლია სისხლის მოძრაობა 1628 წელს მაშინდელი ექიმები ჰფიქრობდნენ, რომ რაკი ადამიანის სხეულში სიცხე მოიმატებს და მაჯა სისწრაფით დაიწყებს ცემას, ის ციების გაჩენას ნიშნავსო. ეს შემცდარი აზრია, რადგანაც შეიძლება ხსენებული ნიშნები სხვაგვარ ავადმყოფობისაგანაც იყოს გამოწვეული. მაგალ. ავილოთ რომელიმე ცხოველი, დავაყენოთ სიცხე-პაპანაქებაში, ან ცხელს აბანოში დავამწყვდიოთ, მაშინ სიცხეც მოემატება და ძარღვების მოძრაობაც, ისე რომ შეიძლება კიდეც მოკვდეს, თუმცა ეს სიკვდილი ციებისგან-კი არ იქნება. აი ნამდვილი განსაზღვრა ციებისა: ციება არის ისეთი ავადმყოფური მდგომარეობა, როცა ადამიანს სიცხე არა ჩვეულებრივ მოემატება მთელს სხეულში და საზოგადოდ გაუძლიერდება მთელი ორგანიზმის (აგებულება) მოქმედება. ამასთან გაუხშირდება გულის ცემაც. გამოჩენილის ექიმების აზრით, ციება თავის-თავად განსაკუთრებულს სნეულებას არ შეადგენს, არამედ იგი იბადება იმ დროს, როცა ადამიანის სხეულში რომელიმე ნაწილი ზიანდება. ამიტომ როცა ექიმი ავადმყოფის გასასინჯად მიდის, უნდა ტერმომეტრით გაუზომოს სიცხე და უნახოს მაჯის მოძრაობა. სალი ადამიანის მაჯის ცემა სხვა-და-სხვა ფი-

ზიოლოგიურს პირობებზეა დამოკიდებული; სქესთა შორის დიდი განსხვავებაა. პატარა ბავშვს ხშირად უცემს უფრო მაჯა, ვიდრე დიდს, მოხუცებულებსაც სისუსტით ხშირად უცემთ მაჯა, როგორც მცირე სისხლის მქონეთ. დედათა სქესს მაჯა უფრო ხშირად უცემთ, ვიდრე მამათა სქესს. ამ აზრის დასამტკიცებლად მოგვყავს რამდენიმე მაგალითი: ახლად დაბადებულს ბავშვს ერთს წუთში 180-ჯერ უცემს მაჯა; ერთი წლისას 100—115-ჯერ. ბავშვობიდან ვიდრე 14 წლამდე 80—90. საშუალო ხნის კაცს 70—75-ჯერ. სამოცდა-ათის წლის მოხუცებულს 75—80-ჯერ და ოთხმოცის წლისას—80—85-ჯერ. 15 წლის ქალს უფრო ხშირად უცემს მაჯა, ვიდრე მამაკაცს. დედათა სქესს 25 წლამდე წუთში დაახლოვებით 78-ჯერ უცემთ მაჯა, ხოლო მამათა სქესს 70—75-ჯერ 25—50-ჯერ წლამდე დედათას სქეს—75-ჯერ უცემს, ხოლო მამათა სქესს 70-ჯერ მაჯის ცემა ყველა დროს ერთგვარად არა ხდება. ადამიანს მაჯის ცემა უფრო დილით ემატება 6—10 საათამდე, ხოლო ნასადილევს 2—3 საათამდე უკლებს. ღამე ხომ სულ მდორდება უმშვიდდება მოძრაობა, თუ ადამიანს სულიერათ არა აღელვებს-რა ან სისხლი ნაკლები არ არის.

ივ. კავთელი

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

—

მოქრთამე მამასახლისი. ქართლის ერთ-ერთ სოფლის მამასახლისთან გლეხი დედაკაცი მივიდა: მეზობელს უჩივოდა. ხელში რაღაც ჰქონდა გახვეული. მამასახლისმა საჩივარი მოისმინა და დედაკაცს დაჰპირდა, დავწიოკებ შენს მეზობელსაო. თან ნერწყვი მისდიოდა; ხელში ინდაური ეგულებოდა. წასვლისას დედა-კაცს უთხრა, ე ინდაური ემანდ ბოსელში დაამწყვდიეო.

—ინდაური კი არა, ჩემი შვილია, მამასახლისო! უპასუხა დედა-კაცმა.

— ??!..

—

რუსეთში ზოგ ადგილებში როგორც მოეხსენებათ მკითხველებს აღკრძალული აქვთ დუქანშივე დაალევინონ მაგარი სასმელები, ერთი შედის და ეკითხება.

— შეიძლება არაყი დავლიო?

— აქ არ იქნება.

— მაშ შემიძლიან, რომ ჩემ ჯურჯელში ჩავასხა.

— რატომ.

— მაშ მიბოძეთ ორშაურიანი ბოთლი. მოვაჭრე აძლევს არაყს მყიდველი ხსნის ასწევს და ცლის ერთბაშათ.

— რას შვრებით!

— არაფერს მე ჩემს ჯურჯელში ჩავასხი.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ოქტომბერი

**იალტა**. ოსმალეთის საგანგებო საელჩოს წევრნი ლივადიის სასახლეში მოვიდნენ და მისი უდიდებულესობის წინაშე წარსდგნენ. შემდეგ საელჩოს წევრნი უმაღლეს სადილზე იქმნენ მიწვეულნი. სადილის დროს იმპერატორმა სულთანის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

**პარიზი**. პალატამ ვიცე-პრეზიდენტებად აარჩია კოშრი და ეინარი.

**ათინე**, ახალის კაბინეტის შედგენა მიენდო ზაიმის. წინანდელ სამინისტროს წევრთაგან რჩებიან შინაგან საქმეთა და ზღვათა მინისტრები.

**ბერლინი**. „კელნის გაზეთ“-ში დაბეჭდილია: „ის ამბავი, რომ იმპერატორი მეუღლითურთ დაბრუნდება ბერლინში გენუაზე რკინის გზითო, მართალი არ გამოდგა. იმპერატორი და იმპერატრიცა კადიკსში გაჩერდებიან, შემდეგ ჩრდილოეთის ზღვის ერთ-ერთს ნავთსადგურში ნაპირზე გადავლენ, ასე რომ 15—27 ნოემბერს იმპერატორი თვით გახსნის პარლამენტის სესიას“.

**პარიზი**. საკასაციო სასამართლოს მოთხოვნილებით, ხელ-ახლა გაუჩხრიკეს სახლი და დაბეჭდეს ქაღალდები იმ კაცისა, რომელსაც კავშირი ჰქონია ესტერგაზისთან. ესტერგაზის მრავალი წერილი საკასაციო სასამართლოს გარდაეცა. „Aurore“ ამბობს, რომ ამას კარგი შედეგი ექნება: იგი დაამტკიცებს, რომ ესტერგაზი დამნაშავეაო.

კლემანსო აცხადებს „Aurore“-ში, რომ ხვალ პიკარი განთავისუფლებულ იქმნებაო.

ამტკიცებენ, რომ იმ ქაღალდებში, რომელიც ესტერგაზის წაართვეს, იპოვნეს ისეთსავე ქაღალდზე დაწერილი წერილი, როგორზედაც ბორდერო არის დაწერილიო.

**მადრიდი**. მთავრობას აცნობეს, რომ გემი, რომელზედაც იმპერატორი ვილჰელმია, კადიკსში 8 (20) ნოემბერს მოვაო. შეიძლება იმპერატორი მადრიდშიაც მოვიდეს.

29 ოქტომბერი

**ლონდონი**. გილდ-ჰოლში გამართულ ნადიმის დროს სალისბიურიმ ილაპარაკა სუდანისა და ინდოეთის ბრწყინვალე ექსპედიციებისა და ევროპის კონცერტის კრიტის საქმეში ნაყოფიერ მოქმედების შესახებ. „სულ ცოტა ხანია მას შემდეგ,—განაგრძო სალისბიურიმ, — რაც ვფიქრობდით, რომ ევროპაში ომი მოხდებაო. საქმე საკეთილოდ დაბოლოვდა, თუმცა ერთხანად ისე გვეგონა, რომ იგი სხვაგვარად დაბოლოვდებაო. იმ სამაგალითო კეთილ-გონიერებამ და წინ დახედულმა მოქმედებამ, რომელიც საფრანგეთმა ამ განსაკუთრებულ, ძნელ გარემოებათა დროს გამოიჩინა, გადაარჩინა ევროპა საშიშ ქარიშხალისაგან. ომი იქნებ ისე არ იყო კარს მომდგარი, როგორც ამას გაზეთები გაიძახოდნენ, მაგრამ ამა და აგრეთვე სხვა მრავალმა მოსაზრებამ აიძულა მთავრობა წინდაწინვე თადარიგი დაეჭირა, რათა განსაცდელი მოუმზადებელს არ დასტეხოდა თავს. ჰკვირობენ ეს მზადება რატომ უეცრად არ მოისპოო; მაგრამ თვალის დახამხამებაზე არ შეიძლება უკვე მიღებულის ზომების მოსპობა. კარგად ვიცი: ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვენს თოფხანებში დღემდის მოძრაობა და მზადებაა. ამბობენ, ვითომც ჩვენ კრიტისა და სირიის მითვისება გვინდოდეს ან კიდევ უზენაესის უფლების განცხადება ეგვიპტეზე. ჩვენ კმაყოფილნი ვართ იმ მდგომარეობით, რა მდგომარეობაც დღეს ეგვიპტეში გვიჭირავს და ამ ჟამად არავითარ მიზეზს არა ვხედავთ შევცვალოთ იგი. არ ვამბობ, რომ ამ მდგომარეობაზე არავითარი გავლენა არა ჰქონდა ამ უკანასკნელ სამ თვეში მომხდარ ამბებსა-მეთქი; ომდურმანთან გამარჯვების შემდეგ ეს მდგომარეობა ისეთი აღარ არის, როგორიც მანამდე იყო. მე იმედი მაქვს, რომ ისეთი რამ არ მოხდება, რამაც საჭირო ჰყოს ეგვიპტეში ჩვენის მდგომარეობის შეცვლა, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში ქვეყანაზე ისეთი მშვიდობიანობა აღარ იქნება, როგორც ეხლა არის“. სოლსბერიმ დიდად შეაქო რუსეთის იმპერატორის წინადადება იარაღის აყრის შესახებ და სთქვა, რომ „ამ წინადადებამ მოიპოვა მხურვალე თანაგრძნობა და ინგლისიც მხარს დაუჭერს მას, მაგრამ ვიდრე ეს ცდა სასურველ ნაყოფს მოიტანდეს, ჩვენ უნდა ვიფიქროთ კარს მომდგარ განსაცდელზე თადარიგი დავიჭიროთო“. სოლსბერიმ ილაპარაკა შემდეგ ამერიკის ძლიერების შესახებ, იმ ამერიკისა, რომელმაც ევრობის ერთა შორის ადგილი დაიჭირა. „ეს გარემოება მეტად საყურადღებოა; მან შეიძლება მშვიდობიანობის საქმეს სამსახური ვერ გაუწიოს, მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, ინგლისის ინტერესებს კი გაუწევს სამსახურსაო“. შემდეგ სოლსბერიმ სთქვა: „ამ ჟამად ომები საშიშის სისწრაფით ჩნდებიან. ჩვენი სახელმწიფო დიდი საახალშენო საზღვაო სახელმწიფოა და იმპერიის დასაცველად საკმაო ძალა რომ არ მოგვეპოვებოდეს, შესაძლებელ იყო, ჩვენი სახელმწიფო უეცრად დარღვეულიყო. აი ამიტომ არ შეგვიძლიან სიფრთხილეს და მზადებას თავი გავანებოთ. იგი გამარჯვების სურვილს არ გამოუწვევია. ჩვენ გვძულს ომი, მაგრამ ვალდებული ვართ იმპერია შთამომავლობას ხელ-უხლებელი გადავცეთ“.

# ნიხრი

გამომცხვარი პურისა ამა 1898 წ. 20 ოქტომბრიდან, ვიდრე შეიცვლებოდეს.

ა) ფურნის პური

1-ლის ხარისხისა, გამომცხვ. რუსეთის ფქვილ. გირვ. $4^1/_2$ კ.

მეორე ხარისხისა, გამომცხვ. ნახევრად რუსეთის ფქვილ. და ნახევრად ადგილ. გირ. $3^3/_4$ კ.

მესამე ხარის., გამომცხ. საუკეთესო ადგილობ. ფქვ.—$3^1/_4$ კ.

ბ) თონის პური

1-ლი ხარისხის ჯვარის-მამის პური, 1 გირვანქა . . 5 კ.

მეორე ხარისხისა, გამომცხვ. ნახევრად რუსეთის და ნახევრად ადგილ. ფქვილ. $4^1/_4$ „

მესამე ხარისხ., გამომც. საუკეთესო ადგილ. ფქვილ. $3^3/_4$ „

გ) ლავაში

პირველი ხარისხისა, ჯვარის-მამის ლავაში, გირვანქა $6^1/_2$ „

მეორე ხარ., თათრული ლავაში, საუკეთესო ადგ. ფქვ. $3^3/_4$ „

1898 წ. 29 ოქტომბრამდე, ვიდრე შეიცვლებოდეს

ძროხის ხორცი 1 ხარისხისა უდავესკოთ . . . $6^1/_2$ კ.

სუკი 1 გირვანქა . . . 12 —

ცხვრის ხორცი უდავესკო $7^1/_2$ —


# განცხადებანი

ქერის ყავა

(სოროდისაგან

ერთი ქოლოფი ღირს 25 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიებში

(5—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Октября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია